

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №282

2024 წლის 27 აგვისტო

ქ. თბილისი

„სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

**მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილებაში (სსმ, №168, 24/12/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული:

**1. №2 დანართის („დებულება სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“):**

**ა) მე-3 მუხლის 7<sup>5</sup> პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„7<sup>5</sup>. სტაციონარის ნებართვა და ნებართვის დანართები არ გაიცემა დაწესებულებაზე, რომელიც განთავსებული იქნება საცხოვრებელი სახლის (ინდივიდუალური, მრავალბინიანი) შენობაში.“;

**ბ) მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 21-ე პუნქტი:**

„21. ოტორინოლარინგოლოგიური მომსახურების მიმწოდებელი ყველა დაწესებულება ვალდებულია, თავისი საქმიანობა შესაბამისობაში მოიყვანოს №2<sup>1</sup> დანართით განსაზღვრულ პირობებთან და ახალი ნებართვის დანართის – „ოტორინოლარინგოლოგიური მომსახურება“ – მოსაპოვებლად მიმართოს სააგენტოს 2025 წლის 1 იანვრამდე.“.

**2. №2<sup>1</sup> დანართის („სტაციონარული დაწესებულების სანებართვო პირობები“):**

**ა) V<sup>1</sup> თავის („სანებართვო პირობები ქიმიოთერაპიული მომსახურების მიმწოდებელთათვის“):**

**ა.ა) პირველი პუნქტის შენიშვნის გრაფას დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:**

„გ) ერთ დაწესებულებაში ქიმიოთერაპიული სერვისის რამდენიმე ერთეულის (მათ შორის, ამბულატორიული და სტაციონარული) არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია ერთი სარეგისტრაციო სივრცის გამოყენება.“;

**ა.ბ) მე-2 პუნქტს შენიშვნის გრაფაში დაემატოს შემდეგი შინაარსის ტექსტი:**

„ერთ დაწესებულებაში ქიმიოთერაპიული სერვისის რამდენიმე ერთეულის (მათ შორის, ამბულატორიული და სტაციონარული) არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია ერთი მოსაცდელი სივრცის გამოყენება.“;

**ა.გ) მე-4 პუნქტის 4.12 პუნქტის შენიშვნის გრაფას დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:**

„დ) შესაძლებელია სანიტარიული კვანძის განთავსება დარბაზის შესასვლელის მიმდებარედ.“;



**ა.დ) მე-5 პუნქტს შენიშვნის გრაფაში დაემატოს შემდეგი შინაარსის ტექსტი:**

„ერთ დაწესებულებაში ქიმიოთერაპიული სერვისის რამდენიმე ერთეულის (მათ შორის, ამბულატორიული და სტაციონარული) არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია ერთი ასეთი ოთახის არსებობა, საიდანაც გახსნილი მედიკამენტების საპროცედუროში ტრანსპორტირება ხორციელდება დროულად, სპეციალური სატრანსპორტო კონტეინერებითა და პროტოკოლით გაწერილი ფიქსირებული მარშრუტით (სერვისების სხვადასხვა სართულზე განთავსების შემთხვევაში, თუ დაშორება 2 და მეტი სართულია, მედიკამენტების ქიმიოთერაპიული სერვისების სივრცეებს შორის ტრანსპორტირებისთვის გამოყენებულ უნდა იქნეს ლიფტი) ფარმაკო-ქიმიური თვისებების შენარჩუნებისა და სტერილობის დარღვევის პრევენციის უზრუნველყოფით.“;

**ა.ე) მე-5 პუნქტის 5.1 და 5.2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„

5.1	დერეფნიდან/ერთეულის სხვა სივრცეებიდან გამოყოფილია რაბით (ოთახში პერსონალის მოსახვედრად)	სავალდებულოა 2024 წლის 1 სექტემბრიდან
5.2	ვენტილაციის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სათავსის ჰაერის მაქსიმალურ სისუფთავეს, უარყოფითი წნევითა და HEPA ფილტრებით	სავალდებულოა 2024 წლის 1 სექტემბრიდან.

“;

**ა.ვ) მე-5 პუნქტის 5.3 პუნქტს შენიშვნის გრაფაში დაემატოს შემდეგი შინაარსის ტექსტი:**

„აღნიშნული პირობის დასაკმაყოფილებლად მედიკამენტების გასაცემად დამოუკიდებელი კარის/ფანჯრის არარსებობისას ნაკადების მართვის უზრუნველყოფისთვის შესაძლებელია სათანადო პროტოკოლის (მათ შორის, დროში გამოიჯვნის) გამოყენება.“;

**ა.ზ) მე-7 პუნქტის 7.1 პუნქტის შენიშვნის გრაფის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ბ) ქიმიოთერაპიული სეანსების დამთავრების შემდეგ, არასამუშაო საათებში სტაციონარულ პაციენტებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მეთვალყურეობის უზრუნველსაყოფად, ყოველ 15 საწოლზე არანაკლებ 1 ექიმ-სპეციალისტის (ონკოლოგი ან ჰემატოლოგი ან შინაგანი მედიცინის სპეციალისტი ან რეანიმატოლოგი ან გადაუდებელი მედიცინის (EMERGENCY) სპეციალისტი) მორიგეობა განყოფილებაში;“;

**ა.თ) მე-14 პუნქტის პირობის გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„დაწესებულებას აქვს გადაუდებელი დახმარების (EMERGENCY) ან/და ინტენსიური მოვლის/რეანიმაციული განყოფილება/ერთეული (სულ მცირე, I დონის).“;

**ბ) VII თავის („ქირურგიული მომსახურების მიმწოდებელთათვის საერთო სანებართვო პირობები“):**

**ბ.ა) პირველი პუნქტის 1.3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შენიშვნის გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ა) პედიატრიული პაციენტების მომსახურების შემთხვევაში ფიზიკალური მონიტორინგის საშუალებებს უნდა გააჩნდეთ ასაკის შესაბამისი მახასიათებლები;

ბ) ოტორინოლარინგოლოგიური და პლასტიკური, რეკონსტრუქციული და ესთეტიკური ქირურგიის მომსახურების შემთხვევაში სავალდებულოა შესაბამისი სერვისის (ოტორინოლარინგოლოგიური ან პლასტიკური, რეკონსტრუქციული და ესთეტიკური ქირურგიის) საწოლების საერთო რაოდენობის (მათ შორის, ბავშვთა და მოზრდილთა და პოსტოპერაციული საწოლები ჯამურად) არანაკლებ 20%-ისთვის.“;

**ბ.ბ) პირველი პუნქტის 1.3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შენიშვნის გრაფაში დაემატოს შემდეგი შინაარსის**



## ტექსტი:

„ოტორინოლარინგოლოგიური და პლასტიკური, რეკონსტრუქციული და ესთეტიკური ქირურგიის მომსახურების შემთხვევაში სავალდებულოა საწოლების საერთო რაოდენობის (მათ შორის, ბავშვთა და მოზრდილთა, რეანიმაციისა და პოსტოპერაციული საწოლები ჯამურად) არანაკლებ 20%-ისთვის.“;

### ბ.გ) მე-3 პუნქტის შენიშვნის გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) გამონაკლისს წარმოადგენს:

ა.ა) I და II კატეგორიების ქირურგიული ჩარევების განმახორციელებელი კლინიკები, რომლებსაც არ მოეთხოვებათ რეანიმაციული დანართის ფლობა;

ა.ბ) მაღალმთიანი/საზღვრისპირა რაიონები (მუნიციპალიტეტები), სადაც აღნიშნული სერვისის განხორციელება ნებადართულია ინტენსიური თერაპიის პალატის ფარგლებში მართვითი სუნთქვისათვის საჭირო აღჭურვილობისა (მათ შორის, აირების უსაფრთხო მიწოდების) და შესაბამისი სპეციალისტით უზრუნველყოფის შემთხვევაში;

ბ) ოტორინოლარინგოლოგიური და პლასტიკური, რეკონსტრუქციული და ესთეტიკური ქირურგიის მომსახურების შემთხვევაში სავალდებულოა I დონის რეანიმაციული საწოლების არსებობა.“;

### ბ.დ) მე-4 პუნქტის 4.7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შენიშვნის გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) პედიატრიული პაციენტების მომსახურების შემთხვევაში, ასაკის შესაბამისი მახასიათებლებით;

ბ) ოტორინოლარინგოლოგიური და პლასტიკური, რეკონსტრუქციული და ესთეტიკური ქირურგიის მომსახურების შემთხვევაში წნევის ინვაზიური მონიტორირების ხაზი სავალდებულოა მინიმუმ 1 საოპერაციო დარბაზში.“;

### ბ.ე) მე-4 პუნქტის 4.7 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შენიშვნის გრაფას დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) იგულისხმება გულ-ფილტვის რეანიმაციის მობილური ტუმბოს შემადგენლობაში (CPR CARD) არსებული დეფიბრილატორიც.“;

### ბ.ვ) მე-6 პუნქტის 6.1 პუნქტის შენიშვნის გრაფის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ერითროციტული მასის, სულ მცირე, თითო დოზა სხვადასხვა ჯგუფისა (ABO ჯგუფი) და რეზუსისათვის (სავალდებულოა მხოლოდ გადაუდებელი ქირურგიული სერვისის მიმწოდებლებისთვის);“;

### ბ.ზ) მე-6 პუნქტის 6.2 პუნქტის შენიშვნის გრაფაში დაემატოს შემდეგი შინაარსის ტექსტი:

„ოტორინოლარინგოლოგიური და პლასტიკური, რეკონსტრუქციული და ესთეტიკური ქირურგიის სერვისის მიმწოდებლებისთვის რენტგენოლოგიური სერვისის უზრუნველყოფა შესაძლებელია, განხორციელდეს უშუალოდ ნებართვის მაძიებლის/მფლობელის მიერ ან ასეთი მომსახურების იმავე შენობაში არსებულ სხვა მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ისე, რომ იძლეოდეს სამედიცინო საქმიანობის დროული და ოპერატიული განხორციელების შესაძლებლობას.“;

### ბ.თ) მე-6 პუნქტის 6.3 პუნქტის შენიშვნის გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„არანაკლებ 1 კლინიკისთვის.

ა) ბრონქოსკოპის ფლობა სავალდებულო წესით არ მოეთხოვებათ I და II კატეგორიების ქირურგიული ჩარევების განმახორციელებელ კლინიკებს;



ბ) III და მაღალი კატეგორიის ქირურგიული ჩარევების განმახორციელებელი ოტორინოლარინგოლოგიური და პლასტიკური, რეკონსტრუქციული და ესთეტიკური ქირურგიის სერვისის მიმწოდებლებისთვის ბრონქოსკოპით მომსახურების უზრუნველყოფა შესაძლებელია, განხორციელდეს უშუალოდ ნებართვის მაძიებლის/ მფლობელის მიერ ან ასეთი მომსახურების იმავე შენობაში არსებულ სხვა მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ისე, რომ იძლეოდეს სამედიცინო საქმიანობის დროული და ოპერატიული განხორციელების შესაძლებლობას.“;

**ბ.ი) მე-7 პუნქტის 7.1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შენიშვნის გრაფის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ა) სპეციალიზებული დაწესებულებისთვის დასაშვებია შესაბამისი ქირურგიული პროფილის ექიმ-სპეციალისტი (მაგ.: ექიმი-უროლოგი, ექიმი-პროქტოლოგი, ექიმი-ტრავმატოლოგი, ექიმი-ოტორინოლარინგოლოგი, პლასტიკური ქირურგი და სხვ.);

ბ) მხოლოდ გეგმური სამედიცინო სერვისების მიმწოდებელ დაწესებულებებში, საჭიროების დროს, ზოგადი ქირურგის (შესაბამისი ექიმ-სპეციალისტის) ხელმისაწვდომობა შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს გამოძახებით, სათანადო სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურაში (SOP)/პროტოკოლში მითითებულ ვადაში. აღნიშნული ვადის განსაზღვრა უნდა განხორციელდეს პაციენტის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, რათა საფრთხე არ შეექმნას მის სიცოცხლეს და/ან ჯანმრთელობას.“;

**ბ.კ) მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შენიშვნის გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ა) 1 ექთანი – არაუმეტეს 8 საწოლზე 24-საათიან რეჟიმში;

ბ) ოტორინოლარინგოლოგიური და პლასტიკური, რეკონსტრუქციული და ესთეტიკური ქირურგიის სერვისის მიმწოდებლებისთვის – 1 ექთანი – არაუმეტეს 10 საწოლზე 24-საათიან რეჟიმში.“;

**გ) IX თავის („რეანიმაციული მომსახურების შემთხვევაში სტაციონარს დამატებით უნდა გააჩნდეს“):**

**გ.ა) მე-7 პუნქტის შენიშვნის გრაფას დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:**

„გ) სავალდებულო არ არის ოტორინოლარინგოლოგიური და პლასტიკური, რეკონსტრუქციული და ესთეტიკური ქირურგიის სერვისის მიმწოდებლებისთვის.“;

**გ.ბ) მე-17 პუნქტის შენიშვნის გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ა) გადამწოდები (მინიმუმ, შემდეგი დიაპაზონებით):

ზოგადი აბდომინალური, სამეანო/გინეკოლოგიური კვლევისათვის –2.5-6.0Mhz;

მცირე ზომის ობიექტებისთვის, ხაზოვანი -5.0-10.0Mhz;

მოზრდილების ექოკარდიოგრაფია (ჰარმონიკული ექო )-2,1-3.8Mhz;

**ბ) გადამწოდებისთვის:**

სტანდარტული აქტიური კონექტორი: 2;

უქმი (სათადარიგო) კონექტორი: 1;

გ) I დონის ინტენსიური მკურნალობის/მოვლის შემთხვევაში, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ამავე სამედიცინო დაწესებულების სხვა ერთეულებში არსებული მობილური ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის აპარატი;

დ) ოტორინოლარინგოლოგიური და პლასტიკური, რეკონსტრუქციული და ესთეტიკური ქირურგიის სერვისის მიმწოდებლებისთვის მობილური ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის სერვისის



უზრუნველყოფა შესაძლებელია უშუალოდ ნებართვის მაძიებლის/მფლობელის მიერ ან ასეთი მომსახურების იმავე შენობაში არსებულ სხვა მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ისე, რომ იძლეოდეს სამედიცინო საქმიანობის დროული და ოპერატიული განხორციელების შესაძლებლობას.“;

**გ.გ) მე-18 პუნქტის შენიშვნის გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ა) ეკგ მონიტორით 12 სტანდარტული განხრის ჩაწერის შესაძლებლობით. არხების ჩაწერა 3/1 (3 სტანდარტული არხი (ამორჩევის საშუალებით) + 1 რითმის არხი) შესაძლებლობით. ეკგ-ის გადარების მანუალური და ავტომური რეჟიმით. ფილტრები: მაღალეფექტური ბაზისური ფილტრი, დაბალი სიხშირის ფილტრი, კუნთის შეკუმშვის ფილტრი, მაღალი სიხშირის ფილტრი. მგრძობელობა 5, 10, 20 მმ/მვ. დიაგნოსტიკური სიხშირეების დიაპაზონი არანაკლებ 0,67-150 ჰც-ისა. მუშაობა დენის წყაროთი და აკუმლატორით, აკუმლატორის დატენვის ერთი ციკლით მინიმუმ 90 წუთი მუშაობის შესაძლებლობით;

ბ) ოტორინოლარინგოლოგიური და პლასტიკური, რეკონსტრუქციული და ესთეტიკური ქირურგიის სერვისის მიმწოდებლებისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ამავე სამედიცინო დაწესებულების სხვა ერთეულებში არსებული ელექტროკარდიოგრაფი.“;

**გ.დ) 23-ე პუნქტის შენიშვნის გრაფას დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:**

„გ) სავალდებულო არ არის ოტორინოლარინგოლოგიური და პლასტიკური, რეკონსტრუქციული და ესთეტიკური ქირურგიის სერვისის მიმწოდებლებისთვის.“;

**გ.ე) 29-ე პუნქტის შენიშვნის გრაფას დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:**

„გ) სავალდებულო არ არის ოტორინოლარინგოლოგიური და პლასტიკური, რეკონსტრუქციული და ესთეტიკური ქირურგიის სერვისის მიმწოდებლებისთვის.“;

**გ.ვ) 33-ე პუნქტის შენიშვნის გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ა) მრავალპროფილიანი სტაციონარი/პედიატრიული სტაციონარი/ პედიატრიული მრავალპროფილიანი სტაციონარი – კტ არანაკლებ 16 შრისა ან მრტ, არანაკლებ 1,5 ტესლა;

საუნივერსიტეტო სტაციონარი/რეფერალური მრავალპროფილიანი სტაციონარი/პედიატრიული რეფერალური მრავალპროფილიანი სტაციონარი /- მრტ, არანაკლებ 1.5 ტესლა;

III დონის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სერვისის შემთხვევაში – კტ არანაკლებ 16 შრისა ან მრტ, არანაკლებ 1.5 ტესლა;

IV დონის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სერვისის შემთხვევაში – მრტ, არანაკლებ 1.5 ტესლა;

ბ) ოტორინოლარინგოლოგიური და პლასტიკური, რეკონსტრუქციული და ესთეტიკური ქირურგიის შემთხვევაში, სერვისის უზრუნველყოფა შესაძლებელია განხორციელდეს უშუალოდ ნებართვის მაძიებლის/მფლობელის მიერ ან ასეთი მომსახურების იმავე შენობაში არსებულ სხვა მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ისე, რომ იძლეოდეს სამედიცინო საქმიანობის დროული და ოპერატიული განხორციელების შესაძლებლობას.“;

**გ.ზ) 34-ე პუნქტის შენიშვნის გრაფაში დაემატოს შემდეგი შინაარსის ტექსტი:**

„ოტორინოლარინგოლოგიური და პლასტიკური, რეკონსტრუქციული და ესთეტიკური ქირურგიის შემთხვევაში, სერვისის უზრუნველყოფა შესაძლებელია განხორციელდეს უშუალოდ ნებართვის მაძიებლის /მფლობელის მიერ ან ასეთი მომსახურების იმავე შენობაში არსებულ სხვა მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ისე, რომ იძლეოდეს სამედიცინო საქმიანობის დროული და ოპერატიული განხორციელების შესაძლებლობას.“;

**გ.თ) 36-ე პუნქტის შენიშვნის გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**



„ა) ექიმ-სპეციალისტები ხელმისაწვდომი უნდა იყვნენ სათანადო სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურაში (SOP)/პროტოკოლში მითითებულ ვადაში. აღნიშნული ვადის განსაზღვრა უნდა განხორციელდეს პაციენტის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, რათა საფრთხე არ შეექმნას მის სიცოცხლეს და/ან ჯანმრთელობას;

ბ) სპეციალიზებული სტაციონარის შემთხვევაში ექიმ-სპეციალისტთა მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის საჭიროება განისაზღვრება დაწესებულების მიერ, პროფილის შესაბამისად.“;

დ) XIII თავი („ოტორინოლარინგოლოგიური მომსახურების შემთხვევაში სტაციონარს დამატებით უნდა ჰქონდეს“) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„XIII	ოტორინოლარინგოლოგიური მომსახურების შემთხვევაში ქირურგიული პროფილის მომსახურების პირობებთან (ამ დანართის VII ნაწილი) ერთად სტაციონარს დამატებით უნდა გააჩნდეს	
1.	საოპერაციო	<p>აუცილებელ მოთხოვნას არ წარმოადგენს დამოუკიდებელი ქირურგიული ბლოკის არსებობა.</p> <p>შესაძლებელია ქირურგიული პროფილის მომსახურებისათვის გათვალისწინებული საოპერაციო ბლოკში განთავსებული საოპერაციო დარბაზის გამოყენება.</p> <p><b>შენიშვნა:</b> სტაციონარულ დაწესებულებაში საოპერაციო დარბაზების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების მიერ მიწოდებული სერვისების სიმძლავრეს, იმდაგვარად, რომ იძლეოდეს პაციენტისათვის უსაფრთხო და დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდების შესაძლებლობას.“.</p>
2.	მიკროსკოპი/თავის განათება HEAD LITE ოპტიკით	
3.	ასპირატორი (ელექტრო)	
4.	აუდიომეტრი და ტიმპანომეტრი	

## მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი კობახიძე

